ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მკვლევრის თანამდებობაზე დასაქმების პირობები

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მკვლევრის თანამდებობის დაკავების შემთხვევაში დასაქმებულს ეკრძალება იმუშაოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო და/ან კვლევით დაწესებულებაში სრული, ასოცირებული, ასისტენტ-პროფესორის ან მკვლევრის თანამდებობაზე;
2. იმ შემთხვევაში, თუ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მკვლევარი უკვე არის სხვა უმაღლესი სასწავლებლის/კვლევითი დაწესებულების პროფესორი, ან მკვლევარი, იგი ვალდებულია, გონივრულ ვადაში აირჩიოს, რომელ უმაღლეს საგანმანათლებლო /კვლევით დაწესებულებაში განაგრძობს მუშაობას;
3. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მკვლევრის თანამდებობაზე დასაქმებული პი
რის მიერ ამ
წესით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს შრომის ხე
ლშეკრულების მოშლისსაფუძველი;
4.ზემოთ ჩამოთვლილ შეზღუდვებზე განსაკუთრებულ შემთხვევაში შესაძლოა დაიშვას გამონაკლისი რექტორის და/ან აკადემიური საბჭოს თანხმობით;
5. ასევე გამონაკლისი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს ხელშეკრულება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მკვლევარს შორის, ან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სხვა ორგანიზაციას შორის, რომელიც ითვალისწინებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მკვლევარის დასაქმებას სხვა საგანმანათლებლო და/ან კვლევით დაწესებულებაში იმ თანამდებობაზე, რომლის ძირითადი დატვირთვაც არის ან საგანმანათლებლო ან კვლევითი მუშაობა.